ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 41

15.05.2020 *ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*

15:00 საათი *ბიუროს სხდომათა დარბაზი*

მიმდინარე წლის 15 მაისს, 15:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **დავით ჭელიძე** (კომისიის წევრი), **ლევან ჯაფარიძე** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი), **გიორგი მუსხელიშვილი** (კომისიის წევრი), **დათო რურუა** (კომისიის წევრი) და **შალვა ოგბაიძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 7 (შვიდი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე**

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, მიმდინარე წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა** *(მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი);*

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე) - მოგესალმებით, კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, პაუზის შემდეგ გვიწევს შეხვედრა და კომისიის სხდომის ჩატარება. ბევრი საკითხი დაგროვდა ამ პერიოდში, აქედან გამომდინარე, დღეს უნდა მოვუსმინოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელ ბატონ ირაკლი გვილავას. არსებული ინფორმაციით 22 მაისიდან, ქვეყანაში აღარ გახანგრძლივდება საგანგებო მდგომარეობა, რაც ნიშნავს ჩვეულ სამუშაო

რეჟიმში დაბრუნებას, თუმცა, გარკვეული რეკომენდაციებისა და მითითებების დაცვას ჯანდაცვის მიმართულებით.

პანდემიის მიუხედავად, მერიის სამსახური, ისევე როგორც საკრებულოს საქმიანობა, არ შეჩერებულა და მნიშვნელოვანია, რომ ამ პირობებშიც, ვახერხებთ, ვეძებოთ მაქსიმალურად გააქტიურების გზები და დავგეგმოთ სამომავლო ღონისძიებები. რაც შეეხება შეხვედრის ფორმატს, მომხსენებელს მოვუსმინოთ საქალაქო სამსახურის განვლილი ხუთი თვის მუშაობასთან დაკავშირებით და შემდეგ დავსვათ კითხვები. ასევე, გავაკეთოთ შესაბამისი კომენტარები, რომ შევჯერდეთ რა შეგვიძლია ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით ერთობლივი ძალებით შევიმუშაოთ.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, მიმდინარე წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია - კომისიას წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, რაც შეეხება სამსახურის მიერ უკვე დაწყებულ მშენებლობებს, ქვეპროგრამიდან **,,სპორტული დაწესებულებების მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა" (კოდი 08.06.04)**, როგორც მულტიფუნქციურ ცენტრებს ვარკეთილში და დიდ დიღომში, ასევე საცურაო აუზი ლილოს ტერიტორიაზე, ვარკეთილის მეურნეობაში საჭიდაო დარბაზი, სპორტული ცენტრი ,,იმედი'' და ვაკის პარკის კორტები, ვინაიდან მშენებლობები და რეაბილიტაციის პროცესი მიმდინარე იყო, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე არ შეჩერებულა და დღესაც გრძელდება. მცირე ზომის პროექტები წელს ზაფხული-შემოდგომის პერიოდში უნდა დასრულდეს, ხოლო მასშტაბური, მულტიფუნქციური ცენტრები შესაბამისი გრაფიკის თანახმად მომდევნო წელს. რაც შეეხება ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს და ასევე მიმდინარე სხვა პროექტებს რომლებიც არ იყო დაწყებული, რომლებსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია არ ყავდა გამოვლენილი, შეჩერებულია პანდემიიდან გამომდინარე. ქვეპროგრამიდან **,,სპორტული ღონისძიებები"** 2 000,0 ათასი ლარი ნაწილობრივ უკვე გამოყენებულია ხელფასებისთვის სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი იმ სპორტული ა(ა)იპ-ების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების და სხვა უწყებების თანამშრომლებზე, რომელთა ხელფასიც დამოკიდებული იყო მოსარგებლე ბენეფიციარების გადასახადებზე. იმედია ივლისის თვეში შევძლებთ განვაახლოთ სპორტული და სხვა პროფილის ა(ა)იპ-ების საქმიანობა, თუ სიტუაცია მკვეთრად არ შეიცვალა. მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა არ შეჩერებულა.

ირაკლი გვილავამ, კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო ინფორმაცია, საქალაქო სამსახურის მიერ, არსებულ ვითარებაში გაწეული საქმიანობის შესახებ და ისაუბრა დაგეგმილ პროგრამებსა და პროექტების შესახებ.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვა:

გიორგი ჩაკვეტაძე - კორონავირუსის პანდემიიდან შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ვფიქრობთ, როგორც სამსახურის, ასევე მთლიანად თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დაექვემდებარება გარკვეულ ცვლილებებს. საინტერესოა როდისთვის შევძლებთ აუზების და სხვა სპორტული ა(ა)იპ-ების სრულფასოვნად ამუშავებას, ხომ არ გაქვთ თუნდაც სავარაუდო ინფორმაცია? ასევე კარგი იქნება უახლოეს პერიოდში მონიტორინგის მიზნით მოვინახულოთ მიმდინარე სპორტული კომპლექსების სამშენებლო სამუშაოები. ჩვენი მხრივ, კომისია აქტიურ მუშაობას გააგრძელებს დაგეგმილ და სამომავლო აქტივობებთან დაკავშირებით.

ირაკლი გვილავა - სავარაუდოდ ამ მდგომარეობით შესაძლებელია ივლისის თვის ბოლოსთვის სპორტული ა(ა)იპ-ების ამუშავება, ჩვენ ველოდებით მთავრობის რეკომენდაციებს და შესაბამისი მითითების მიღებისთანავე 10 კალენდარული დღის ვადაში შევძლებთ სპორტული ა(ა)იპ-ების სრულად ამუშავებას. მიმდინარე სამშენებლო პროექტების მონახულება შესაძლებელია უკვე შემდეგი კვირიდან.

დავით ჭელიძე - მოგეხსენებათ, რომ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში სპორტული სივრცეებისთვის საკმარისი ფართი იშვიათია, ამიტომ საინტერესოა ნაძალადევის რაიონში ყოფილი ,,შრომითი რეზერვების სპორტულ ბაზა''-ზე ამ დროისთვის არსებული მდგომარეობა მოსარგებლესა და მუნიციპალიტეტს შორის; როგორია თქვენი ინფორმაცია?

ირაკლი გვილავა - აღნიშნული ტერიტორია მეტად საინტერესოა სპორტული სივრცის მოწყობის და ათვისების კუთხით. ჩემი ინფორმაციით ვალდებულება შეჩერებული აქვს მეპატრონეს, საქმე სასამართლოშია და მიმდინარეობს დავა, აქედან გამომდინარე ველოდებით გადაწყვეტილებას და მოვლენების განვითარებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, მიმდინარე წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია''.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე